პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 137 (5946)
1977 წ. 14 ივლისი, ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

„ფიზკულტურისა და
სპორტის მასობრიობას
ჩვენ უნდა ვნერგავდეთ
ყველგან და
ყველაფერში —
შრომით
კოლექტივებში,
ყველა ორგანიზაციასა
და დაწესებულებაში,
სასწავლებლებში,
სამუშაო თუ
საცხოვრებელ
ადგილზე“.

ფიზკულტურა და სპორტი — ყოველდღიური პარტიული მზრუნველობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე 1977 წლის 2 ივლისს

ძვირფასო ამხანაგებო!

ჭეშმარიტად ღირსშესანიშნავი და ღრმად სიმბოლურია, რომ გუშინ ამ დარბაზში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანოს დეპუტატებმა, განიხილეს რა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, გამოხატეს თავიანთი სრული ერთსულოვნება და მონოლითური შეკავშირება. დღეს კი ამავე დარბაზში პარტიულ-სამეურნეო აქტივი განიხილავს იმ საკითხებს, თუ როგორ განახორციელოს მაქსიმალურად და ყველაზე ეფექტიანად ძირითად კანონში ჩაწერილი საბჭოთა მოქალაქეების უფლებებიდან ერთ-ერთი უმთავრესი სოციალურ-ეკონომიკური უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, დასვენების უფლება, რომლებსაც, ბევრ სხვა კომპონენტთან ერთად, უზრუნველყოფს მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება, კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ქსელის გაფართოება, თვით სსრ კავშირში არსებული განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, სულიერ და ფიზიკურ განვითარებას, შრომისა და ჩვენი სამშობლოს დაცვისათვის, საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მის მომზადებას ემსახურება.

ახალი კონსტიტუციის, განვითარებული, მომწიფებული სოციალიზმის კონსტიტუციის პროექტი ასახავს იმ უდიდეს პრინციპულ ცვლილებებს, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მოხდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. **თავისუფალი საბჭოთა ხალხების დიად ქარტიაში დაკანონდა სოციალისტური სახელმწიფოს ზრუნვა ჯანმრთელობის დაცვის, დასვენების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ტურიზმის განვითარებისათვის, საზოგადოების საკეთილდღეოდ მოხმარებული ძალებისა და ენერგიის აღდგენა-განახლებისათვის, პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის.**

პარტიას თავის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიაჩნია უზრუნველყოს, ადრეული ასაკიდანვე დაწყებული, ფიზიკურად ჯანმაგარი ახალგაზრდა თაობის აღზრდა, რომელსაც ჰარმონიულად ექნება განვითარებული ფიზიკური და სულიერი ძალები, რისთვისაც უდავოდ ყოველნაირად უნდა წაახალისოს ყველა სახეობის მასობრივი სპორტი და ფიზიკური კულტურა, მათ შორის სკოლებში, ჩააბას ფიზკულტურულ მოძრაობაში მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენები. ახლა კი ეს მოთხოვნა ახალი კონსტიტუციის პროექტშია ჩაწერილი და ამის შედეგად კანონმდებლობის წესით მკვიდრდება.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე პარტია ზედმიწევნითს ყურადღებას უთმობდა ადამიანთა ფიზიკურ წრთობას, იგი ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის სათავეებთან იდგა და ნიადაგ ხელმძღვანელობდა და წარმართავდა ამ მოძრაობას.

ჩვენ შევიკრიბენით დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის წელს. ამიტომ საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ მსოფლიოში პირველად მისცა ხალხს არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და პოლიტიკური თავისუფლებები, არამედ ყველა საჭირო პირობაც შეუქმნა ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას, როცა ფიზკულტურა და სპორტიც მტკიცედ მკვიდრდება საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში.

პარტიამ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებიდანვე დასახა ამოცანა: შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღება და მოსახლეობის შრომისუნარიანობის ზრდა ფიზკულტურისა და სპორტის მეშვეობით; ხოლო თავისი XII ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით აღნიშნა: „მუშა ახალგაზრდობას შორის გაძლიერებული ლტოლვა სპორტისადმი უნდა გამოვიყენოთ..., როგორც მოზარდი თაობის ფიზიკური გაჯანსაღებისათვის,... ისე ახალგაზრდობის საერთო მასასთან ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მჭიდრო ურთიერთობის გაძლიერებისათვისაც“.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება მ. ი. კალინინის შესანიშნავი სიტყვები: „ჩვენ გვინდა ყოველმხრივ განვავითაროთ ადამიანი, რათა იგი კარგად დარბოდეს, დაცურავდეს, კოხტად და სწრაფად დადიოდეს... რათა იყოს ნორმალური, ჯანმრთელი, მზად იყოს შრომისა და თავდაცვისათვის და ფიზიკური თვისებების პარალელურად სწორად უვითარდებოდეს გონებრივი თვისებებიც“.

სწორედ ამ ამოცანებს წყვეტდა და კვლავ წყვეტს ჩვენი პარტია, რომელიც ესოდენ დიდ ყურადღებას უთმობს ფიზიკური კულტურისა და მასობრივი სპორტის განვითარებას, რის შედეგადაც ამჟამად მან უმაგალითო გაქანებას მიაღწია. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში 220 ათასი ფიზკულტურული კოლექტივია, რომლებშიც 50 მილიონი კაცია გაერთიანებული. ფიზკულტურისა და სპორტის დარგში ჩვენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების 283 ათასი სპეციალისტი გვყავს, ამას უნდა დავუმატოთ კიდევ ათობით ფიზკულტურის ინსტიტუტი და ტექნიკუმი, ორასამდე ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი, პედაგოგიური სასწავლებელი და განყოფილება, ფართოდ განტოტვილი სპორტული პრესა და ა. შ.

ჯანმრთელობის დაცვასა და სპორტზე გაღებულ სახელმწიფო ასიგნებათა მასშტაბის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ შემდეგი მონაცემებით. 1959 წელს ეს ასიგნებანი შეადგენდნენ 4,8 მილიარდ მანეთს, ხოლო 1975 წელს — უკვე 11,1 მილიარდ მანეთს. კოლოსალური ზრდაა!

შეიძლებოდა დაგვესახელებინა სხვა ფრიად დამაჯერებელი მონაცემებიც, რომლებიც მოწმობენ, თუ რა დაუცხრომლად ზრუნავენ პარტია და მთავრობა იმისათვის, რომ გააუმჯობესონ ფიზკულტურული მოძრაობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ყველა საჭირო პირობა შეუქმნან მწვრთნელებსა და სპორტსმენებს. გაცილებით უკეთ არის დაყენებული ახლა ეს საქმე პროფკავშირების ხაზით.

სოციალიზმის პირობებში არაფერი არ ფასობს ისე ძვირად, როგორც ადამიანი, მისი ჯანმრთელობა, მისი კეთილდღეობა, ფიზიკური წრთობა, და ამის გულისათვის საბჭოთა სახელმწიფო არავითარ ხარჯებს არ იშურებს.

სულ ცოტა ხნის წინ, ჩვენ პირველი წლისთავი აღვნიშნეთ იმ დღიდან, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო თავისი ცნობილი 1976 წლის ივნისის დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“.

ჩვენთვის ამ მართლაც რომ ისტორიულ დადგენილებაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მიზანდასახულ მუშაობას ეწევა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მაღალი იდეური და ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრებისათვის. დღეს ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს, ვთქვათ: ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ პარტიული ორგანიზაციები მიზანმიმართულ, სისტემატურ, ღრმაშინაარსიან მუშაობას ეწევიან, რათა განახორციელონ კომპლექსური მიდგომა აღზრდის მთელი საქმის დაყენებისადმი, მჭიდროდ შეათავსონ იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდა, რომელიც, ბუნებრივია, ადამიანთა ფიზიკურ აღზრდასაც გულისხმობს. ყოველივეს იმის მეოხებით მივაღწიეთ, რომ მთელს ჩვენს მუშაობაში დიდი ადგილი ეკავა იმ პრობლემებს, თუ როგორ აღვზარდოთ ახალი ადამიანი — კომუნიზმის ღირსეული მშენებელი, რომლის პიროვნებაშიც ჰარმონიულად იქნება შერწყმული სულიერი სიმდიდრე, ზნეობრივი სისპეტაკე და ფიზიკური სრულქმნილობა.

მინდა გავიხსენო ისიც, რომ **პიროვნების, მისი თავისუფალი და ჰარმონიული განვითარების პრობლემას ცენტრალური ადგილი ეკავა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მუშაობაში.** ყრილობამ მნიშვნელოვანწილად შეაჯამა პირველი შედეგები და განსაზღვრა შემდგომი გზები მუშაობისა, რომელიც მიზნად ისახავს შეისწავლოს ადამიანი, ეძებოს მის პიროვნებაში პოზიტიურობის, კეთილის საწყისები და ამ საფუძველზე ჩამოაყალიბოს სულიერად, ზნეობრივად და ფიზიკურად სრულყოფილი შესანიშნავი პიროვნება. ასეთია ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური ფუნქცია.

ჩვენ ამოცანად ვისახავთ ადამიანის შეგნების ჩამოყალიბებას, თანაც არა ზოგადად შეგნებისას, არამედ კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტული პიროვნების, კონკრეტული მოქალაქის შეგნების ჩამოყალიბებას. **აი, რატომ მიგვაჩნია საჭიროდ დავეუფლოთ იმ ხელოვნებას, რომ გამოვიცნოთ ადამიანის პიროვნებაში ყოველივე კარგი, დადებითი, დროზე შევნიშნოთ საზოგადოებაში მიმდინარე პოზიტიური პროცესები, მტკიცედ დავიცვათ და განვავითაროთ ყოველივე პროგრესული და დადებითი და ვაქციოთ იგი მთელი საზოგადოების კუთვნილებად.**

მეორე მხრივ, ჩვენ ვისწრაფვით აგრეთვე მკაფიოდ და ზუსტად განვსაზღვროთ ჩვენი დამოკიდებულება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული ნეგატიური მოვლენებისადმი, აქ საკითხი ასე დგას: **ჩვენ ნეგატიური მოვლენების მატარებელი ადამიანის წინააღმდეგ კი არ ვიბრძვით, არამედ ბრძოლას ვუცხადებთ ყოველივე არაადამიანურს ადამიანის პიროვნებაში, რათა ვიხსნათ თვით ადამიანი.** ამრიგად, სოციალიზმის ანტიპოდების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს არა მარტო საზოგადოების საკეთილდღეოდ, არამედ თვით იმ ადამიანის საკეთილდღეოდაც, რომელიც ამ ანტიპოდური მოვლენების მატარებელია, მისი ზნეობრივი სრულყოფის საკეთილდღეოდ, **ადამიანის პიროვნებაში ყოველივე ადამიანურის დამკვიდრებისათვის.**

ჩვენს ამ პოზიციას იდეოლოგიური მოწინააღმდეგენი ამახინჯებდნენ, ამახინჯებენ და, ეტყობა, ყოველთვის დაამახინჯებენ, მაგრამ ჩვენ, კომუნისტები, მკვეთრად ვდგავართ და ვიდგებით ამ პოზიციებზე. ასეთია სიმართლე. და სწორედ ასეთ აზრს ვაქსოვთ ჩვენ სიტყვებს, როცა ვლაპარაკობთ პოლიტიკურ მუშაობაზე როგორც მეცნიერებაზე, და ამავე დროს, ადამიანთმცოდნეობაზე როგორც ხელოვნებაზე, ხოლო პარტიის აქტივისტს ვუწოდებთ ადამიანთმცოდნეს, ადამიანის სულის კონსტრუქტორს.

პარტიულ აქტივს კარგად მოეხსენება ის ნაბიჯები, ის კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ, ზომები, რომლებიც მან მიიღო, რათა აემაღლებინა ჩვენი ადამიანების იდეურ-პოლიტიკური სიმწიფე, გაეძლიერებინა მათი მორალური სიმტკიცე, აემაღლებინა მათი განათლებისა და კულტურის, ფიზიკური წრთობის დონე.

ჩვენ პიროვნების აღზრდის პრობლემა მიგვაჩნია კომპლექსურ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემად, რომელიც პარტიული კომიტეტების, მთელი საზოგადოების შეუნელებელ ყურადღებასა და თანამიმდევრულ მიდგომას მოითხოვს. ეს პრობლემა, პიროვნების ჩამოყალიბების პრობლემა მოითხოვს, როგორც ყველაზე გლობალური, ისე ყველაზე ლოკალური ამოცანების ღრმა, ყოველმხრივ შესწავლასა და გადაწყვეტას მთელი ჩვენი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის დარგში.

ასრულებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დებულებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებსა და რჩევა-დარიგებას, საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ისწრაფვიან სწორედ ასეთი პოზიციებით მიუდგნენ ჩვენი თანამედროვის — კომუნისტური საზოგადოების მშენებლის პიროვნების აღზრდისა და ჩამოყალიბების საკითხს.

ამხანაგებს ახსოვთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების ბევრი პრინციპული მნიშვნელობის აქცია რესპუბლიკის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მაღალი იდეური და ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრების დარგში.

(გაგრძელება გაშლილ გვერდზე)

ფიზკულტურასა და სპორტს — ყოველდღიური პარტიული მზრუნველობა

(გაგრძელება)

ეს არის, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმები, რესპუბლიკის პარტორგანიზაციის აქტივის კრებები, რომლებზეც შეიმუშავეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ საქართველოს პარტორგანიზაციის თაობაზე გამოტანილი სამივე დადგენილების რეალიზაციის ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა კომპლექსის მიზანია რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება, მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო მაჩვენებლების მიხედვით საშუალო-საკავშირო დონისაკენ მისი ხანგრძლივი ჩამორჩენის დაძლევა, ცხოვრების პოლიტიკის გაუმჯობესება, მასების ცნობიერებისა და აქტივობის ამაღლება, პარტიული და სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცება, ანტისაზოგადოებრივი მოვლენების, კერძომესაკუთრული ტენდენციების, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

[illegible]

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ფიზკულტურასა და სპორტს — ყოველდღიური პარტიული მზრუნველობა

დასასრული

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ **ჩვენი მთავარი, ძირითადი, ცენტრალური ამოცანაა მთელი ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მასობრიობა, მასობრიობა და კიდევ ერთხელ მასობრიობა.**

მასობრიობა ჩვენ გვჭირდება აგრეთვე როგორც ფიზიკური კულტურისა და საბჭოთა სპორტის გამაჯანსაღებელი, აღმზრდელობითი, სამხედრო-პატრიოტული, თავდაცვითი ფუნქციების განხორციელების **უმნიშვნელოვანესი პირობა და როგორც** ჩვენი მოზარდი თაობის ფიზიკური განვითარების მთელი საქმის **მთავარი შედეგი.**

ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობას ჩვენ უნდა ვნერგავდეთ ყველგან და ყველაფერში — შრომითს კოლექტივებში, ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, სასწავლებლებში, სამუშაო თუ საცხოვრებელ ადგილზე.

მასობრიობის რეალიზაციას უნდა უზრუნველყოფდეს სხვადასხვა სპორტული სექციის განტოტვილი ქსელი, რომლებიც შეიქმნება საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში — ყველგან, სადაც კი გვაქვს საამისო რეალური შესაძლებლობანი. და ყველა ამ სექციაში უნდა ჩქეფდეს სისხლსავსე სპორტული ცხოვრება, უნდა მიმდინარეობდეს შეუპოვარი და საინტერესო საწვრთნელი, შინაარსიანი მეცადინეობა, დაძაბული შეჯიბრებები.

ყველგან **მასობრივი ხასიათი** უნდა მივანიჭოთ ხალხურ სახეობათა სპორტის დანერგვას.

უფრო მასობრივი, უფრო ქმედითი უნდა გახდეს ჩვენი ზრუნვა სპორტული ბაზების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობისათვის.

ახლა მთავარია **მასობრივი** სპორტის საფუძველზე უზრუნველვყოთ **მაღალი მიღწევების სპორტის** ზრდა და სრულყოფა, გამოვიყენოთ მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობის სამზადისი **მასობრივ ფიზკულტურულ მოძრაობაში** ადამიანთა მაქსიმალური ჩაბმისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებისადმი, XXII ზაფხულის ოლიმპიური ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტისა და მონაწილეებისადმი მისასალმებელ წერილში აღნიშნა, რომ „საბ. კავშირი უჭერდა და უჭერს მხარს თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობას. ახლა საბჭოთა ადამიანები 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადისათვის ემზადებიან და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მან მაღალ დონეზე ჩაიაროს და ახალი იმპულსი მიანიჭოს მეგობრობისა და მშვიდობის კეთილშობილურ იდეებს".

სწორედ ეს ამოცანები განსაზღვრავენ, ამხანაგებო, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანოების, ყველა ჩვენი ორგანიზაციისა და დაწესებულების, მათი ხელმძღვანელების მუშაობის მიმართულებას ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების დარგში.

ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანებს მხოლოდ იმ შემთხვევაში განვახორციელებთ წარმატებით, თუ ყველა ჩვენი პარტიული კომიტეტი **საქმიანად მოჰკიდებს ხელს მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის განვითარების საქმეს.** აბა გულახდილად ვთქვათ: განა პარტიის ყველა რაიკომის, საქალაქო და საოლქო კომიტეტის მდივნები ისე მზრუნველად ეკიდებიან ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებს, როგორც ამას, მაგალითად, თელავის, თერჯოლის, მესტიის, გორის, კასპისა და პარტიის ზოგიერთ სხვა რაიკომში აკეთებენ? არადა, პარტიული ორგანიზაციების მუდმივი მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე რაიონული ფიზკულტურის კომიტეტები ვერას გახდებიან.

ამ საქმეში დიდი განმსაზღვრელი როლის შესრულება შეუძლიათ საქართველოს კომკავშირსა და მის ადგილობრივ ორგანოებს. სწორედ ჩვენი კომკავშირი უნდა გახდეს ფიზკულტურისა და სპორტის სული და გული, ახალგაზრდებს შორის ამ შესანიშნავი მოძრაობის პროპაგანდისტი და ორგანიზატორი. სწორედ კომკავშირი, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემასთან ერთად, სისტემატურად და მიზანდასახულად უნდა წყვეტდეს სასკოლო, სტუდენტური სპორტის, მოსწავლეების, მუშა და სოფლის ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებს.

ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი პროფკავშირები სრულად იყენებდნენ ფიზკულტურულ მოძრაობაში არსებულ ყველა შესაძლებლობას, თუმცა უკანასკნელ ხანებში აქაც შეიმჩნევა ერთგვარი გამოცოცხლება და გარკვეული ძვრები ამ მიმართულებით. მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ამოცანა ის არის, რომ ორგანულად შევუხამოთ და შევუერწყათ ერთმანეთს ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობისა და მასობრივი ტურიზმის, საკურორტო მშენებლობის შემდგომი განვითარების პრობლემები და ა. შ.

ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებს, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ორგანიზაციები და უწყებები წყვეტენ. მაგრამ გადამწყვეტი, მაკოორდინირებელი როლი, უდავოდ, რესპუბლიკის სპორტკომიტეტს ეკუთვნის. ამ მაკოორდინირებელი საწყისის განხორციელებისას სპორტკომიტეტმა უნდა დაძლიოს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გზაზე არსებული უწყებრივი ბარიერები. ამ საქმეში წარმატებას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როცა ყველას ექნება შეგნებული თავისი ამოცანები და ყველას კარგად ეცოდინება, თუ რა ადგილი უკავიათ მათ დასახული ამოცანის განხორციელებაში. მხოლოდ მაშინ წარიმართება მთელი მეცადინეობა ერთიანი კალაპოტით.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი აღმავლობის ამოცანები განეხილა სწორედ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე. ამით ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ ეს არის არა მარტო პარტიული ორგანიზაციების, არამედ ყველა ჩვენი სამეურნეო ორგანოს საზრუნავიც, რომლებსაც შეუძლიათ ძალზე ბევრი რამ გააკეთონ ამ მხრივ. როგორც იტყვიან, მთავარია გული გულობდეს, მთავარია შეგნებული გვქონდეს ამ სახელმწიფოებრივ საქმეში ჩვენი უშუალო მონაწილეობის მნიშვნელობა. მინისტრებმა და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებმა, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა უნდა გვიჩვენონ რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის ყოველდღიური ზრუნვის მაგალითი.

ყოველი ხელმძღვანელი ახალგაზრდობის მეგობარი, დამრიგებელი და მრჩეველი უნდა გახდეს. ყველას მართებს ნიადაგ იზრუნოს ახალგაზრდობისათვის და ეს მზრუნველობა უნდა გამოიხატებოდეს არა მარტო და არა იმდენად სიტყვებით, რამდენადაც კონკრეტული, რეალური, პრაქტიკული საქმეებით, მათ შორის მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდით.

აქტივის კრების მონაწილეებს დაურიგეს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც შედგენილია თითოეული რაიონისა და ქალაქის შესაძლებლობათა შესაბამისად და დაფუძნებულია მეათე ხუთწლედის საერთო სახალხო-სამეურნეო გეგმაზე. და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა იგი სავსებით განხორციელდეს.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობაც ღრმად შეისწავლის ფიზკულტურისა და სპორტის თეორიის პრობლემებს და თავის სიტყვას შემოგვაშველებს ამ საქმეში. მომწიფდა იმის საჭიროება, რომ გავაანალიზოთ, თუ რა გავლენას ახდენს ცხოვრების თანამედროვე პირობები თვით ადამიანთა ფიზიკური კულტურისა და სპორტული მოძრაობის განვითარებაზე, აუცილებელი გახდა მეცნიერული დაპროგნოზება უახლოესი და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივით.

მეცნიერებას კი საკმაოდ აქვს შესწავლილი პრობლემები. აი, მაგალითად, რა პროცესები შეინიშნება სამეურნეო მშენებლობაში თანამედროვე ეტაპზე? ეს არის ავტომატიზაცია, მექანიზაცია და პროგრამული მართვა. ეს არის სოფლის მეურნეობის ენერგოაღჭურვილობის ამაღლება, რომელიც სულ უფრო მტკიცედ გადადის ინდუსტრიალიზაციის გზაზე. ჩვენ ვხედავთ, როგორ იჭრება და მკვიდრდება ავტომატიკა სოფელშიც. ერთი სიტყვით, ჩვენს თვალწინ ქრება ხელის, ფიზიკური შრომა და საგრძნობლად იზრდება გონებრივი შრომის ხვედრითი წონა. ეს პროცესები კვლავაც განვითარდება — გაფართოვდება და გაღრმავდება, ხოლო კომუნიზმის დროს გონებრივი შრომა საერთოდ გახდება არსებითად უპირატესი და განმსაზღვრელი. მაშასადამე, აქედანვე უნდა დავუკვირდეთ, როგორ ეგუება ადამიანი ახლა ამ პროცესებს, ამთავითვე გვჭირდება სათანადო მეცნიერული რეკომენდაციები მომავლისათვის. ხომ არ შეიძლება კაცმა დაუჯეროს ზღაპრებს, თითქოს მომავალში საერთოდ ადამიანის ფიზიკური უნარის ატროფირება მოხდებაო. მაგრამ საზოგადოებრივი მეცნიერებანი, განსაკუთრებით კი ჩვენს რესპუბლიკაში, ამ პრობლემებს ჯეროვანი ყურადღებით არ იკვლევენ.

ამისათვის კი უნდა გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული მთელი ლიტერატურა, ხელოვნების ყველა სახეობა, ტელევიზია, რადიო, ჩვენი პრესა, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისინი უფრო ხშირად მიმართავენ სპორტულ თემატიკას, უფრო აქტიურად გაუწევენ პროპაგანდას ფიზკულტურასა და სპორტს, ყოველივე იმ შესანიშნავსა და დადებითს, რაც კი რამ აქვთ ჩვენს სპორტსმენებს, ამის პროპაგანდა კი მართლაც საჭირო საქმეა.

აბა, ყველამ იცის იმ მთამსვლელის სახელი, რომელიც ბეწვზე გადარჩა, როცა მეგობრები მის თვალწინ მოსწყდნენ კლდეს და 100-მეტრიან ყინულის უფსკრულში გადაიჩეხნენ, ის კი, მარტოდ-მარტო დარჩენილი, ჩავიდა უფსკრულში ამხანაგების საშველად, თუმცა იცოდა, რომ ვეღარ შეძლებდა მათს გადარჩენას, მაგრამ არც დაფიქრებულა, ისე გააკეთა ეს, და ყველას, ვინც კი მას იცნობდა, მუდამ ეხსომება იგი ისეთივე სპეტაკად, როგორც ის დათოვლილი მწვერვალია, სადაც ეს უბედურება დატრიალდა.

განა ყველამ იცის ის საბჭოთა სპორტსმენები, რომლებიც იაპონიის ერთ-ერთ ქალაქში, ადგილობრივ ხელისუფალთა აკრძალვის მიუხედავად, ყველანი, როგორც ერთი, შეცვივდნენ ცეცხლში ხანძრის ჩასაქრობად და ჩააქრეს კიდეც, ანდა საბჭოთა პროფესორი-მედიკოსი, რომელმაც წყალზე დამჯდარ ალმოდებულ თვითმფრინავში თავისი მაშველი რგოლი უცნობ ბავშვიან ქალს დაუთმო და დაიღუპა სამშობლოდან დაშორებით, მეორე ნახევარსფეროში?

მათი სახელი კი ყველამ უნდა იცოდეს! და ეს საქმე უნდა ითავონ ჩვენმა მწერლებმა, ჩვენმა ჟურნალისტებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა. ესენი არიან მაღალი მორალის, მაღალი ზნეობრივი ტრადიციების მატარებელი ადამიანები. ისინი ჩვენმა დროებამ, ჩვენმა საბჭოურმა სოციალისტურმა სინამდვილემ წარმოშვა. ისინი მრავალნი არიან. მაგრამ სიმრავლე მთავარი როდია, ისტორიისათვის მთავარი ხომ მოვლენის ტიპიურობა, ტენდენციის განვითარებაა. **ხოლო ტიპიური ხასიათები ტიპიურ ვითარებაში ჩვენი მეცნიერების, ლიტერატურის, ჩვენი ხელოვნების კვლევის საგანია.**

როგორც ხედავთ, პრობლემას, რომელსაც პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე განვიხილავთ, რამდენიმე ასპექტი აქვს, და ყოველი მათგანი ჩვენ ფრიად მნიშვნელოვნად წარმოგვიდგება. საერთოდ კი მთელი ჩვენი დიდი პარტიული ზრუნვა რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობის საქმის ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის, ჩვენი დიდი წუხილი და წრფელი შეშფოთება იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამო, რომლებიც ჯერ კიდევ არის ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში, ნაკარნახევია მხოლოდ ერთი გარემოებით: **ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ხალხი იყოს მაღალინტელექტუალური, დიდად განათლებული, ჰარმონიულად განვითარებული, ჯანმაგარი, ლამაზი, ჯანსაღი, ხალისიანი, ფიზიკურად სრულყოფილი. აი რას ვისწრაფვით ჩვენ.**

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ ახლანდელი აქტივის კრება **მძლავრი ტრამპლინი** გახდება რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ახალი გადამწყვეტი აღმავლობისათვის, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე და მოსკოვის XXII ოლიმპიურ ასპარეზობაზე ჩვენი სპორტსმენების წარმატებით გამოსვლისათვის.

მაშ მოდით, მუდამ იმით ვიხელმძღვანელოთ, რომ ფიზკულტურა და სპორტი სახელმწიფოებრივი, სოციალური მნიშვნელობის, ღრმააღმზრდელობითი საქმეა, რომ სპორტი ა. ვ. ლუნაჩარსკის მოსწრებული გამოთქმით, აყალიბებს ოპტიმიზმის კულტურას, სიმხნევის კულტურას. და მშრომელთა, უწინარეს ყოვლისა კი მოზარდი თაობის, ფიზიკური აღზრდის ამოცანებისადმი მხოლოდ სახელმწიფოებრივი, პარტიული მიდგომა უზრუნველყოფს ჩვენს სწრაფ წინსვლას ამ საარსებო მნიშვნელობის დარგში, სწორედ ისე, როგორც ამას მოითხოვს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები.

დასასრულ მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობენ საგანგებოდ მოწვეული სპორტსმენები, სპორტულ ორგანიზაციათა და საზოგადოებათა ხელმძღვანელები, რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის ორგანიზატორები და ვეტერანები, ამ საქმის ენთუზიასტები, სპორტის ვეტერანები, მწვრთნელები, ახალგაზრდობის აღმზრდელები, ყველანი, ვინც დღეს ჩვენი სპორტის დიდებას და სიამაყეს შეადგენს.

ნება მიბოძეთ, ჩვენი პარტიულ-სამეურნეო აქტივის სახელით სულით და გულით ვუსურვო ამ ფრიად პატივცემულ ამხანაგებს ყოველივე საუკეთესო, კარგი, ყოველივე ის, რაც მათ სურთ დაინახონ თავიანთ მოწაფეებსა და ნამოწაფრებში, უწინარეს ყოვლისა ნამდვილი ათლეტური ჯანმრთელობა. როგორც ხალხი ამბობს, ჯანმრთელობა ყოველგვარ განძზე უფრო ძვირფასია, ჯანმრთელობა ოქროზე უფრო ძვირად ფასობს.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ მაღალ სპორტულ მიღწევებს, ახალ სახელოვან გამარჯვებებს ყველა შეჯიბრებაში, და, უწინარეს ყოვლისა, მოსკოვის მომავალ ოლიმპიურ ასპარეზობაში, გისურვებთ მოგეპოვებინოთ ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წარმატებანი იმ კეთილშობილურ სარბიელზე, რომელსაც მთელ თქვენს ძალ-ღონეს, მთელ თქვენს ცოდნას, მთელ თქვენს ენერგიას ახმართ ჩვენი ცვლის, საბჭოეთის ღირსეული მოქალაქეების აღზრდის — ყოველმხრივ განვითარებული, დიდად განათლებული, ძლიერი, ვაჟკაცური, ჯანმაგარი, მორალურად მტკიცე, სულიერად ფაქიზი ადამიანების აღზრდის სარბიელზე.

(საქინფორმი).

II საკავშირო ახალგაზრდული თამაშები

ფარიკაობა

მინსკში დამთავრდა II საკავშირო ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ხმლით ფარიკაობაში. თამაშების ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა ქართველმა მუშკეტერმა ა. კიკნაძემ.

ნანა ჩხაიძის წარმატება

გომელი, 12 ივლისი (დეპეშით). აქ დამთავრდა „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა პირველობა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა ახალგაზრდა თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა ნ. ჩხაიძემ — 10,5 ქულა 15-დან. ამ წარმატებით ჩხაიძემ დაიმსახურა ქალთა 37-ე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშის უფლება

ვ. პიბუნოვი.

ნორჩებმა გვასახელეს

ბრიანსკში, სოფლის ჭაბუკ და გოგონა მოჭადრაკეთა საკავშირო პირველობაში დიდი წარმატებით გამოვიდნენ „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს წარგზავნილები. ზუგდიდელმა ოსტატობის კანდიდატმა გ. თორიამ (მწვრთნელი ოსტატი ე. უბილავა) ჭაბუკებს შორის ჩემპიონის სახელი მოიპოვა, ქუთაისელმა ე. ფახიროვამ (მწვრთნელი ა. რაზოვსკი) გოგონათა ტურნირში II ადგილი დაიკავა.

ს. კაპიტაკე.

მოკლე სტრიქონით

თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში მიმდინარეობს განათლების სამინისტროების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების ჭაბუკ კალათბურთელთა საკავშირო ტურნირის შეხვედრები. ფინალურ ექვსეულში მორიგი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: საქართველო — ლიტვა 80:45 (46:25), უკრაინა — ბელორუსია 85:66, ტაჯიკეთი — რსფსრ 90:80.

დუბლინი. ახალზელანდიელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯონ უოკერმა ყველაზე სწრაფად გაირბინა ერთი მილი — 3 წუთი და 52 წამი. უოკერის ეს შედეგი მისსავე მსოფლიო რეკორდს სულ რაღაც 3 წამით ჩამორჩება.

რედაქტორი ა. ბასილაია.

7. ЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05642